“დინამო” + 2 ქულა

ერევანი. რესპუბლიკური სტადიონი. 9 მაისი.

“არარატი” (ერევანი) _ “დინამო” (თბილისი) 0:1 (0:1).

“არარატი”: ა. აბრამიანი, სეროპიანი, ფ. აბრამიანი, ოვსეპიანი, იუმაკულოვი, მესროპიანი, სარქისიანი, გალუსტიანი (კაზარიანი), ატამალიანი, ეგიაზარიანი, ზანზანიანი.

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, შერგელაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, დათუნაშვილი, გ. სიჭინავა, მეტრეველი, ასათიანი (ილიადი), ნოდია.

მსაჯი ს. ალიმოვი (მოსკოვი).

დუბლიორები _ 2:0 “არარატის სასარგებლოდ.

თბილისელთა გუნდის შემადგენლობის მიხედვით ჩანს, რომ გარკვეული აქცენტი წინასწარ იქნა აღებული დაცვის გასაძლიერებლად. და ეს გასაგებიცაა. თბილისელებს აკლდათ დაცვის მოწინავე მოთამაშე ხურცილავა. ამ დანაკლისის საკომპენსაციოდ კი საჭიროა გარკვეული გადახალისებანი. ამიტომაცაა, რომ გასვლით მატჩებში გუნდს დაცვაში ჰყავს 5 კაცი, რომელთაგან ერთ-ერთს, კერძოდ, ჭელიძეს, ევალება “მწმენდელის” ფუნქციების შესრულება.

მაგრამ სწორი არ იქნება, თუ მხოლოდ ამის მიხედვით თბილისის “დინამოს” დაცვითი თამაშის ტენდენციებს მივაწერთ. ჩვენს ნახევარდაცვაში, მაგალითად, “არარატთან” თამაშობდნენ დათუნაშვილი და გ. სიჭინავა. პირველი მათგანი საერთოდ ფორვარდია და მხოლოდ მწვრთნელის ტაქტიკური ჩანაფიქრის განხორციელებისათვის იქნა “მივლინებული” შუა მინდორში. ხოლო გ. სიჭინავა ცნობილია როგორც აგრესიული ტიპის ნახევარმცველი და აი, როცა “არარატი” შეტევაზე გადმოდიოდა, დინამოელებს 5 რეგულარული მცველი ჰყავდათ საჯარიმო მოედანზე. მაგრამ საკმარისი იყო საპასუხო იერიშის წამოწყება, რომ წინა ხაზზე გადიოდნენ ნახევარმცველები, ხოლო მათ ადგილზე მდგომარეობის შესაბამისად გადმოდიოდა ერთი მოთამაშე დაცვის რიგებიდან. ასეთი სამოქმედო სქემის წყალობით თბილისელებმა უზრუნველყვეს საკუთარი კარის უხიფათობა და არ მისცეს ერევნელებს ექციათ თავიანთი აგრესიულობა და აზარტი გეგმაზომიერ შეტევად. მართალია, “არარატს” ჰქონდა რამდენიმე კარგი შესაძლებლობა შეტევის დასამთავრებლად, მაგრამ დაცვა, განსაკუთრებით კი, ურუშაძე, უშეცდომოდ მოქმედებდნენ.

საერთოდ, შესვენებამდე ტემპი არ იყო მაღალი. თბილისელთა მიერ კონტრშეტევის არჩეულმა ტაქტიკამ ნაყოფი გამოიღო ტაიმის დასასრულს. მეტრეველმა მოულოდნელად და ძლიერად დაარტყა კარში. ა. აბრამიანმა ალღო ვერ აუღო დარტყმას და ბურთი მოიგერია მაშინ, როცა იგი ტაქტიკურად კარის ხაზს გადასცილდა. იგი მოხვდა ძელს და გარეთ გამოვარდა. მაგრამ ამ მომენტში ნოდიამ საყოყმანო აღარაფერი დატოვა არც მსაჯისთვის, არც მაყურებელთათვის: თავით გაგზავნა ბურთი ბადეში.

ძალიან დაიძაბა ბრძოლა მეორე ტაიმში. თამაშის საერთო ნახაზი არ შეცვლილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გ. სიჭინავას გახშირებულ რეიდებს მოპირდაპირე ნახევარზე. შესვენების შემდეგ დინამოელთა საპასუხო იერიშები საგრძნობლად გახშირდა და შესაბამისად იმატა სახიფათო მომენტების რაოდენობამაც “არარატის” კართან. ა. აბრამიანმა ძლივს მოიგერია გ. სიჭინავას მიერ დარტყმული ბურთი, შემდეგ ასათიანმა დაკარგა კარგი შესაძლებლობა და ბოლოს, მეტრეველის უძლიერესი დარტყმა ძელს მოხვდა.

მატჩის მიწურულში ერევნელები გენერალურ შტურმზე გადავიდნენ. “დინამოს” კართან ზედიზედ ინიშნებოდა კუთხური დარტყმები, ურუშაძე განუწყვეტლივ ერთვოდა თამაშში. თბილისელებმაც შეძლეს ამ ძლიერი დაწოლის მოგერიება და შეინარჩუნეს ანგარიში.

ჩვენი გუნდის პროგრესი აშკარაა: ბოლო ოთხ გასვლით მატჩში დინამოელებმა 8 შესაძლებლიდან 7 ქულა აიღეს!

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).
“ლელო”, 11 მაისი, 1967 წ.